დანართი №4

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა;
განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2026 წლის 20 თებერვალი
დასკვნის წარდგენის თარიღი: 2026 წლის 30 მარტი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ მიქელაძე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია გეგელაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო, სტუდენტი ექსპერტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	განათლების მეცნიერებები	განათლების მეცნიერებები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Education Sciences	Education Sciences
უმაღლესი განათლების საფეხური	VIII - დოქტორანტურა	VIII - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერების დოქტორი	განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0111.1.1 განათლების მეცნიერებები	0111.1.1 განათლების მეცნიერებები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]		
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	60	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არ ააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**
  ორივე სადოქტორო პროგრამა გაერთიანებულია განათლების კლასტერში, რომელიც მოიცავს ერთ ვიწრო სფეროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად – 011 განათლება. პროგრამები შემუშავდა განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე მოთხოვნის, პოტენციურ დამსაქმებლებსა და სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის, საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სადოქტორო პროგრამების განხორციელების გამოცდილებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით.
  პროგრამების მიზანია ამ სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევრებისა და სპეციალისტების მომზადება. ის აერთიანებს განათლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს და ასევე აქვს ინტერდისციპლინური ამბიცია. პროგრამის საერთაშორისო განზომილება აშკარად გამოხატულია. პროგრამა შეიძლება შევადაროთ მსოფლიოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პროგრამებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  ადგილზე ვიზიტი 2026 წლის 20 თებერვალს განხორციელდა. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პროგრამასთან დაკავშირებული, სათანადოდ მომზადებული დოკუმენტაცია. ექსპერტებს ჰქონდათ ამ დოკუმენტების შესწავლის შესაძლებლობა. ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინატორის, ანი ბილანიშვილის, და ასევე საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ. ყოველივე ეს ექსპერტთა ჯგუფს დაეხმარა საერთო შთაბეჭდილების შექმნაში და მონაცემებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტებმა შეაფასეს ახლად შემოთავაზებული პროგრამების კლასტერი.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  წარმოდგენილი პროგრამების კლასტერი, ასევე კლასტერში შემავალი ორივე პროგრამა, აკმაყოფილებს ყველა სტანდარტისა და კომპონენტის მოთხოვნებს. კლასტერში შემავალი პროგრამები კარგად არის მომზადებული ყველა ძირითად ასპექტში.

- **რეკომენდაციები**

  არ არის მითითებული

- **რჩევები**

  - სასურველია, დაინტერესებული მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების შესახებ და აღნიშნული შედეგები კარგად ჰქონდეთ გათვითცნობიერებული.
  - სასურველია, განხილულ იქნას პროგრამების სასწავლო გეგმაში საკვანძო ეტაპების გაძლიერების შესაძლებლობები.
  - სასურველია, განხილულ იქნას მობილობის, როგორც სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტის გაძლიერების შესაძლებლობები.
  - სასურველია, ბიუჯეტის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ხელმძღვანელები** - კლასტერში შემავალი ორივე პროგრამისთვის დაგეგმილია რვა აკადემიური პერსონალის ჩართვა. ყველა მათგანი ფლობს დოქტორის ხარისხს შესაბამის სფეროში, მათ შორის ექვსი - აფილირებული პერსონალია. რაც შეეხება ხელმძღვანელებს, თითოეულ პროგრამაზე გათვალისწინებულია შვიდი ხელმძღვანელი, ყველა დოქტორის ხარისხით; მათგან ოთხი პროფესორია, ხოლო ხუთი აფილირებული პერსონალია. კლასტერის თითოეულ პროგრამაში მოიაზრება სულ 16 მოწვეული თანამშრომლის ჩართვა. ხელმძღვანელებს შეუძლიათ მაქსიმუმ სამი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის ხელმძღვანელობა.

  - **სამეცნიერო/კვლევითი ინდიკატორები** – პროგრამის ორივე ხელმძღვანელს (რევაზ ტაბატაძე, დომინიკ დვორჟაკი) ძალიან კარგი პროფესიული განათლება აქვთ; გამოქვეყნებული აქვთ საკმაოდ სოლიდური რაოდენობის პუბლიკაციები და ფლობენ საჭირო პროფესიულ გამოცდილებას. ანალოგიურად, პროგრამები დაკომპლექტებულია სხვა გამოცდილი პროფესიონალებით, რომლებსაც აქვთ პუბლიკაციების კარგი ისტორია.

  - **აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი:**
    ეს პროგრამების ახალი კლასტერია.

  - **თვითშეფასებასა და დანართებში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**
    არ ეხება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[2]
  არ ეხება

  - **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

არ ეხება

[2] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და, რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისა თუ/ან პროგრამებისთვის

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასებისას გამოიყენება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოთი დადგენილი მოთხოვნები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)

უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო

აკრედიტაციის სტანდარტებისა და სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოს შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები -არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით: კლასტერული და საჭიროებისამებრ ინდივიდუალური შეფასება.

შეფასების მიდგომები:
კლასტერული შეფასება აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან, კლასტერის ზოგადი მახასიათებლების გათვალისწინებით.
ინდივიდუალური შეფასება : საჭიროებისამებრ, ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება აუცილებელია დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ასევე ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელზეც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	შინაარსი/ სტანდარტი	**პროგრამა 1** - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა	**პროგრამა 2** განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1,3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1,5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2,4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.	**სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1	ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4,4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის /სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5,3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

დასტურდება, რომ პროგრამების მიზნები ითვალისწინებს სწავლების სფეროს (განათლების მეცნიერებები), საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას. მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად კლასტერში შემავალი პროგრამები. კლასტერის მიზნები ასევე ასახავს მის წვლილს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამების მიზანია „მაღალკვალიფიციურ მკვლევართა და სპეციალისტთა მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებისა და პარადიგმების შესახებ ინოვაციური, ინტერდისციპლინური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის განხორციელებას“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 11).

პროგრამების მიზნები თანხვედრაშია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან. საქართველოს უნივერსიტეტის მისია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით. ამგვარად წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“ (საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი).

პროგრამების მიზნები ასევე ითვალისწინებს შრომის ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ისინი ასახავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. ამ მიზნების შესახებ ინფორმირებულია კლასტერში შემავალი პროგრამების შემუშავებაში მონაწილე ხალხი; ეს მითითებული იყო თვითშეფასების ანგარიშში და დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროსაც.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა) პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)

კლასტერში შემავალი ორივე პროგრამის მიზნები პრაქტიკულად იდენტურია და კლასტერთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები ვრცელდება თითოეულ პროგრამაზე ინდივიდუალურადაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაცია(ები):</u>** გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო

	საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება[3]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 - პროგრამის მიზნები	**შეფასება**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების მაჩვენებლები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიის გრძნობას , რომელსაც სტუდენტები პროგრამის დასრულების შემდეგ იძენენ.

სადოქტორო პროგრამის მაჩვენებლები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 საფეხურის კლასიფიკატორს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე აქვთ სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, ისინი არის ინოვაციური და აქვთ პრაქტიკული/თეორიული ღირებულება.

[3]შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

დასტურდება, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, ასევე პასუხისმგებლობასა და ავტონომიას.

ორივე პროგრამაში ცოდნა და გაცნობიერება სამ ჯგუფად არის დაყოფილი: (1) კრიტიკულად და ყოვლისმომცველად იკვლევს განათლების ფუნდამენტურ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პარადიგმებს ინტერდისციპლინური მიდგომების სინთეზით; (2) ავლენს საგანმანათლებლო კვლევაში უახლესი მეთოდებისა და მიდგომების სისტემატურ გაგებას, ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარების მიზნით; და (3) თანმიმდევრულად და საფუძვლიანად განიხილავს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას.

რაც შეეხება უნარებს, ხაზგასმულია უნარების ოთხი ჯგუფი: (1) კრიტიკულად აანალიზებს საგანმანათლებლო პოლიტიკაში/ადმინისტრირებასა და პედაგოგიკაში არსებულ კრიტიკულ საკითხებსა და გამოწვევებს მრავალფეროვანი თეორიული ჩარჩოების პრიზმაში; (2) ავითარებს შესაბამის კვლევით და/ან ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ცოდნის გენერირებას; (3) თანმიმდევრულად აპროექტებს და ახორციელებს ინოვაციური კვლევის სრულ ციკლს ინტერდისციპლინარული მიდგომების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, კვლევის დასკვნებს იყენებს სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციებისა და ნორმატიული რჩევების მეშვეობით; და (4) წარმატებით გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დონორებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს რა დროის ეფექტიან მართვას და დასკვნების მიწოდებას შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომია განიხილება შედეგების ორ ჯგუფად : (1) ახორციელებს კვლევით პროექტებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაყრდნობით, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების სრული დაცვით და კვლევის შედეგებს ავრცელებს პროფესიულ წრეებში, რითაც ხელს უწყობს განათლების, როგორც ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულების დამკვიდრებას; და (2) ახდენს საკუთარი პროფესიული საქმიანობის რეფლექსიას და შეფასებას, განსაზღვრავს უწყვეტი პროფესიული განვითარების ეტაპებს.

კლასტერში შემავალი ორი პროგრამისთვის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. ისინი შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს (დოქტორანტურა) და განათლების მეცნიერებების, დასაქმებისა და შრომის ბაზრის სპეციფიკას.

სწავლის შედეგები თანმიმდევრულია შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის თვალსაზრისით. ინტერვიუების დროს, გარკვეულწილად დადასტურდა, რომ დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ სწავლის შედეგების შესახებ.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა) პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)

ორივე პროგრამაში ვლინდება იგივე ვითარება, რაც მთლიან კლასტერში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცია(ები):** გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	სასურველია, დაინტერესებული მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების შესახებ და აღნიშნული შედეგებიკარგად ჰქონდეთ გათვითცნობიერებული.
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:	**შეფასება**

პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს.

➢პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას გეგმავს. პირდაპირი მეთოდები მოიცავს სემინარებს, პრეზენტაციებს, სამეცნიერო ნაშრომების ანალიზს და სხვა, ხოლო არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს, ინტერვიუებს, კურსდამთავრებულთა რაოდენობასთან დაკავშირებულ მონაცემებს და საბოლოო შეფასებებს, ასევე დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს და სხვა.

საქართველოს უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასებას თავისი შიდა პლატფორმის, ონლაინ UG-ს მეშვეობით უზრუნველყოფს. პლატფორმაზე შეფასების პროცესი სისტემატურად არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, რაც მოიცავს: პროგრამის სწავლის შედეგებს, კურსის სწავლის შედეგებს, გამოცდებს, შეფასების ინსტრუმენტებს (ღია კითხვები, თემები და ა.შ.) და საგანმანათლებლო პროცესის სხვა აქტივობებს. პროგრამების სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო მის ხარისხს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორ წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს.

პროგრამის განმახორციელებლები ასევე გეგმავენ, რომ შეფასებისას მიღებული შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისა და განახლებისთვის გამოიყენონ.

ახლადშემოთავაზებული პროგრამების პერსონალს აქვს პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების შეფასების გამოცდილება.

სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი უნდა იყოს გამოკითხვის ანალიზის შედეგებისა და რეკომენდაციების სწავლის შედეგების რუკასთან შედარება. ეს პროცედურები ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (კერძოდ, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პროგრამის აკადემიური პერსონალის) მონაწილეობას.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა) პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)

ორივე პროგრამაში ვლინდება იგივე ვითარება, რაც მთლიან კლასტერში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაცია(ები):</u>** გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შეფასება**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების მაჩვენებლები

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის მაჩვენებლები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას და დარგობრივი, სამეცნიერო თანამშრომლობისა და პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სასწავლო სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს და/ან საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სამრეწველო და/ან სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას ტრანსფერული უნარების განვითარებისა და/ან დარგის მიმდინარე საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის ცოდნის გაღრმავების გზით. იგი ასევე იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისთვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო სფეროებს შორის თანამშრომლობის განვითარებას ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება,

ტექნოლოგიურ ტრანსფერებში ჩართვა კვლევის შედეგების განხორციელების გზით, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერული განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), მოსაზრებების გამოხატვა პოპულარული სამეცნიერო ენით და ა.შ.;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტიანი განხორციელებისთვის, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა: საკვლევი თემის შერჩევისა და შეცვლის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების/წარდგენის მექანიზმი, რომელიც, საგანმანათლებლო პროგრამის საკვლევი სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესაბამის დონეზე შესრულებას, აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის კვლევის ინდივიდუალური გეგმა ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, დისერტაციის სტრუქტურას და კვლევის განხორციელების სავარაუდო გრაფიკს/ვადას, კვლევის მეთოდოლოგიას და ა.შ. კვლევის გეგმა ხელს უწყობს დოქტორანტს, განახორციელოს თავისი საქმიანობა საკვლევი თემის შესაბამისად და დაასრულოს დისერტაცია კანონით დადგენილ ვადაში;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაცულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკური ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს .

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცედურას, რომელიც ასევე გამოიყენეს კლასტერში შემავალი პროგრამების შემთხვევაში. პროცედურა განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, განსაზღვრავს ინდივიდუალურ ნაბიჯებს/ფაზებს და ასევე აკონკრეტებს, თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი (პროგრამის კვალიფიკაცია, სასწავლო გეგმის ზოგადი მონახაზი, პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზი, სწავლის შესაძლო საფასური, დაგეგმილი სტუდენტების მიღება, საჭირო მატერიალური რესურსები, საჭირო აკადემიური რესურსები, პროგრამის მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაცია). ეს პროცედურა განსაზღვრავს შემდგომ ნაბიჯებს (გადაწყვეტილების მიღების პროცესი).

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას. კლასტერში შემავალ ორივე პროგრამას აქვს სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. პროგრამა ეფუძნება ECTS კრედიტებს და თითო კრედიტთან ასოცირებული სამუშაო ნორმის ფარგლებშია. რაც შეეხება სასწავლო გეგმებს (ძირითადი და არჩევითი პროგრამის კურსები), 45 ECST პროგრამის ძირითად მოდულებს ეთმობა, ხოლო 15 - არჩევით მოდულებს. პროგრამების ინდივიდუალური ნაწილები ლოგიკურად არის დალაგებული. პროგრამები მიზნად ისახავს სფეროში ახალი კვლევითი მიგნებების გათვალისწინებას; დაცულია პროგრამის შესაბამისი დონე.

პროგრამის შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია, ეს დასტურება თვითშეფასების ანგარიშით და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა) პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)

კლასტერში შემავალი ორივე პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პრაქტიკულად იდენტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცია(ები):** გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	• სასურველია, განხილულ იქნას პროგრამების სასწავლო გეგმაში საკვანძო ეტაპების გაძლიერების შესაძლებლობები. • სასურველია, განხილულ იქნას მობილობის, როგორც სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტის გაძლიერების შესაძლებლობები.
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შეფასება
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ძირითადი სასწავლო სფეროს აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢სასწავლო პროგრამაში მითითებული სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგებს. ეს ეხება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებს.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; აქაც. კურსების ორივე ჯგუფის შემთხვევაში.

თითოეული კურსისთვის გამოყოფილი ECTS-ების რაოდენობა, როგორც ჩანს, კარგად არის შერჩეული და გამართლებული, ის შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის კარგი კავშირია. ასევე, არსებობს გეგმა, რომ თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი იქნას გათვალისწინებული.

სასწავლო ლიტერატურა (სასწავლო რესურსები) აქტუალური და განახლებულია.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)

იგივე შეიძლება ითქვას პროგრამის ორივე ვერსიაზე (იხილეთ კლასტერთან დაკავშირებული ტექსტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცია(ები):** გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**შეფასება**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა **)**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის მაჩვენებლები

- დოქტორანტურაში მიღების მოთხოვნები საჯაროა და მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ , ასევე ინფორმაციას ხელმძღვანელის კვლევითი ინტერესების, დოქტორანტების მიერ ჩატარებული კვლევების მხარდაჭერის/წახალისების მექანიზმების შესახებ და სხვა ინფორმაციას;
- დოქტორანტურაში მიღების მოთხოვნები ითვალისწინებს აპლიკანტების იმ გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებას, რაც აუცილებელია დოქტორანტურის პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.
- დოქტორანტურაში ჩარიცხვისას ასევე გათვალისწინებულია უსდ-ის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის სტრატეგია ;
- დოქტორანტების მიღება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ხდება კომისიის შეფასების საფუძველზე;
- უსდ განსაზღვრავს პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირების შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი კომისიას წარუდგენს კვლევით/შემოქმედებით-კვლევით ნაშრომს/პროექტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. კანდიდატს ასევე მოეთხოვება შესაბამის სფეროში წარსულში შესრულებული ნაშრომის/პუბლიკაციის არსებობა და/ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან შესაბამის სფეროში მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- დოქტორანტურაში მიღებისას განისაზღვრება უცხო ენის ცოდნის დონე. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით , პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნა ან დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი სხვა უცხო ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნა და ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონის ცოდნა;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ითვალისწინებს უსდ-ში არსებულ ადამიანურ, ფინანსურ და კვლევით რესურსებს, მათ შორის თანაფარდობას ხელმძღვანელებსა და დოქტორანტებს შორის. ამასთან, უსდ გაითვალისწინებს დოქტორანტურის სტუდენტების მიერ პროგრამის დროულად დასრულების ანალიზის შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს იმ პირების მიღებას, რომლებსაც აქვთ პროგრამის დასასრულებლად საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

წინაპირობები კანდიდატებისთვის განსაზღვრავს მისაღებ კვალიფიკაციას და ინგლისური ენის ცოდნის საჭირო დონეს (რომელიც თითოეული პროგრამისთვის ცალკეა მითითებული). კანდიდატმა უნდა წარადგინოს კვლევის პროექტი და მონაწილეობა მიიღოს დარგობრივ გასაუბრებაში. ეს პროცესი უზრუნველყოფს იმ აპლიკანტების მიღებას, რომლებსაც აქვთ პროგრამის წარმატებით დასასრულებლად საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

მიღების მოთხოვნები შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. სტუდენტები განაგრძობენ შერჩეულ კვლევით პროექტზე მუშაობას პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში, მის დასრულებამდე.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №65 ბრძანების მე-3 დანართს . ისინი ასევე შეესაბამება დოქტორანტურის განათლების ეროვნულ ჩარჩოს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მიღებას ზედამხედველობს კომისია, რომელსაც სკოლის საბჭო ეწოდება. შერჩევის პროცესი გამჭვირვალეა და მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის საბჭოს მიერ გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, მათ შორის კანდიდატის კვლევით უნარებსა და შემოთავაზებული კვლევითი თემის აქტუალობას. მიღების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.ug.edu.ge), ხოლო კანდიდატებს, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებიც უტარდებათ.

საქართველოს უნივერსიტეტმა განსაზღვრა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია. მიღება ხდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში და დასაშვები სტუდენტების საერთო რაოდენობა შეადგენს -ხუთს. ეს რიცხვი ასახავს პროგრამის სპეციფიკას, პოტენციური ხელმძღვანელების რაოდენობას და უნივერსიტეტში არსებულ რესურსებს.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. დისერტაციის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა შეადგენს არანაკლებ 1:3-ს, დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად. სტუდენტთა მიღების კვოტის გამოთვლის ფორმულა მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში და შეესაბამება სადოქტორო განათლების ჩარჩოს.

პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია აღწერილია საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა) პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)

ყველა საჭირო ინფორმაცია ჩასმული იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება ინდივიდუალური პროგრამებისთვის დამატებით დაკონკრეტდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა;
- განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა;
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ"
- ვებგვერდი (www.ug.edu.ge);
- საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის დებულება
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცია(ები):** გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა		
პროგრამა 2 განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შეფასება**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერში არსებული სადოქტორო პროგრამები აერთიანებს განათლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს და მოიცავს სპეციალიზაციის ორ მოდულს: თანამედროვე პედაგოგიკა: თეორიები, კვლევა და პრაქტიკა; და განათლების პოლიტიკა და ადმინისტრირება. ეს მოდულები საშუალებას აძლევს დოქტორანტებს განავითარონ თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება მათ პროფესიულ პროფილსა და კვლევით ინტერესებს.

სასწავლო და კვლევით კომპონენტებთან დაკავშირებული შეხვედრების გრაფიკი დგინდება თითოეული სემესტრის დაწყებამდე. დოქტორანტები სასწავლო კომპონენტისთვის შეხვედრების დღეებს ირჩევენ აკადემიური რეგისტრაციის დროს, ხოლო კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული შეხვედრები ხელმძღვანელთან ან თანახელმძღვანელთან (კვირაში ორი საათი) იმართება ინდივიდუალურად. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების პროგრესს რეგულარულად აფასებს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო,

რომელიც შედგება დოქტორანტის ხელმძღვანელისა და შესაბამისი ან მონათესავე სფეროს ორი პროფესორის ან ასოცირებული პროფესორისგან. საერთაშორისო ექსპერტებს შეუძლიათ ამ შეხვედრებში დისტანციურად მონაწილეობა.

პროგრამები ხელს უწყობენ დოქტორანტების კვლევითი და უნივერსალური უნარების განვითარებას, მათ შორის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას, გრანტების მოძიებასა და ადმინისტრირებას, პროექტების მართვას, ლიდერობასა და კარიერული განვითარების დაგეგმვას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, მონაცემთა ანალიზსა და პედაგოგიურ უნარებს. აღნიშნული კომპეტენციების განვითარება უზრუნველყოფილია ისეთი კურსების მეშვეობით, როგორიცაა: „კვლევა I“, „კვლევა II“, „შედარებითი და საერთაშორისო განათლება“, „აკადემიური წერა“, „ციფრული ინოვაციები და ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“ და „ლიდერობა და ცვლილებების მართვა განათლებაში“. სადოქტორო პროგრამის რეგულაციების მიხედვით, დოქტორანტებს შეუძლიათ მიიღონ გრანტები კვლევითი კომპონენტთან დაკავშირებული აქტივობების დასაფინანსებლად, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების, სამეცნიერო მობილობაში მონაწილეობისა და კვლევითი ექსპერიმენტების ჩატარებისათვის.

პროგრამები ხელს უწყობენ ინტერდისციპლინურ კვლევას თანამედროვე განათლების საკითხებზე. დოქტორანტების კვლევა შეიძლება მოიცავდეს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა განათლების პოლიტიკა და ადმინისტრირება, თანამედროვე პედაგოგიკა, განათლების სამართლებრივი და ფინანსური ასპექტები, განათლების ფილოსოფია და სოციოლოგია, სასწავლო გეგმის განვითარება, განათლებაში კვლევის მეთოდები, ასევე ციფრული ინოვაციები და ხელოვნური ინტელექტი განათლებაში. პროგრამების ინტერდისციპლინური ხასიათი აფართოებს საგანმანათლებლო კვლევის არეალს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების ჰოლისტურ გააზრებას. პროგრამები ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და საგანმანათლებლო პროექტების მართვის კომპეტენციების განვითარებას. კურსდამთავრებულები მზად არიან კრიტიკულად გააანალიზონ განათლების რეფორმები და შესაბამის ინსტიტუციებს შესთავაზონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური გადაწყვეტილებები.

სტუდენტთა კვლევითი და პროფესიული განვითარება მხარდაჭერილია საქართველოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ, მათ შორის კვლევითი ინსტიტუტის, აკადემიური საქმეთა მართვის სამსახურისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციას კვლევითი პროექტების, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების, გაცვლითი პროგრამების, ტრენინგების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების შესახებ. 2020- 2025 წლებში ERASMUS+კრედიტი მობილობის სტუდენტური გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 40 სტუდენტმა, ხოლო 2021- 2025 წლებში აკადემიურ მობილობაში მონაწილეობა მიიღო 60 აკადემიურმა პერსონალმა.

დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევები რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში. მათ შორისაა Caucasus Journal of Social Sciences (CJSS), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ უფასოდ გამოქვეყნება, და Journal of Educational Inquiry and Interdisciplinary Research (JEIIR) — საერთაშორისო ღია წვდომის ჟურნალი, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტმა დააარსა 2025 წელს. დამატებითი საგამომცემლო შესაძლებლობები არსებობს საერთაშორისო ჟურნალებთან თანამშრომლობის გზით, როგორიცაა Orbis Scholae (Scopus- ში ინდექსირებული, ჩარლზის უნივერსიტეტი, პრაღა) და Journal of Global Higher Education. განათლების მეცნიერებათა სკოლა ასევე სთავაზობს Erasmus+ გაცვლით შესაძლებლობებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს.

სტუდენტთა ჩართულობა მხარდაჭერილია საქართველოს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სერვისების მიერ (კვლევითი ინსტიტუტი, აკადემიური საქმეთა მართვის სამსახური და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური), რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას

ტრენინგების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და კვლევითი პროექტების შესახებ. სწავლის შესაბამის ეტაპზე სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და ტრენინგებში, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში საზღვარგარეთ.

დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური სპეციალისტები მნიშვნელოვანი აკადემიური და კვლევითი მიღწევებით. პოტენციური ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების სია მოიცავს გამოცდილ მკვლევრებსა და განათლების სფეროს პროფესიონალებს.

საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ფართო საერთაშორისო პარტნიორობა და გაფორმებული აქვს მრავალი ინსტიტუციათაშორისი მემორანდუმი უნივერსიტეტებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან. პროგრამების კლასტრის ფარგლებში გაფორმებულია თანამშრომლობის ათი მემორანდუმი პრაქტიკის დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან, მათ შორის ოთხ უნივერსიტეტთან, ოთხ კერძო სკოლასთან, ერთ აკადემიურ ჟურნალთან და ერთ პროფესიულ კოლეჯთან. აღნიშნული ხელშეკრულებები განსაზღვრავს პრაქტიკის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, ხანგრძლივობასა და ჩართული სტუდენტების რაოდენობას, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტი იყო USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის მთავარი პარტნიორი, რომლის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 405 საჯარო სკოლაში (როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში) განხორციელდა პროგრამით დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე 45 სკოლაში განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტმა დააფუძნა STEM კლუბები, "იდიატორთა" კლუბები, "კითხვის" კლუბები და „წიგნის მეგობრების“ კლუბები.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმები
- დამსაქმებლებთან ხელმოწერილი კონტრაქტები/მემორანდუმები
- ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში
- ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში
- ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტები (Erasmus- ის სტატისტიკა, საზღვარგარეთ გამგზავრებული სტუდენტები, საზღვარგარეთ გამგზავრებული პერსონალი)
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები პროგრამების ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუები მაგისტრანტებთან

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 - ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შეფასება**
პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

თითოეულ აკადემიურ კურსში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის შინაარსს, განზრახულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამები ლოგიკურადაა სტრუქტურირებული, შინაგანად თანმიმდევრულია და ორგანიზებულია აკადემიური პერიოდების შესაბამისად. ისინი მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს და შეიცავს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტისა და თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. სასწავლო კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები აღწერილია თითოეული კურსის სილაბუსში. ორივე პროგრამაში გამოყენებული სწავლების მიდგომები მრავალფეროვანია და მიზნად ისახავს დოქტორანტურის საფეხურისთვის შესაბამისი ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა ავტონომია, თვითმართვადი სწავლა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციები.

აღნიშნული სწავლება- სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს როგორც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ისე სტუდენტებს შორის ურთიერთქმედებას. ისინი ხელს უწყობენ სტუდენტთა მონაწილეობას შესაბამისი ავტონომიისა და პასუხისმგებლობის დონით და სხვადასხვა კომპეტენციების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

დოქტორანტები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო და კვლევით საქმიანობაში. სწავლა- სწავლების პროცესის ფარგლებში ისინი ამზადებენ პრეზენტაციებს, მუშაობენ კვლევით პროექტებზე, აანალიზებენ აკადემიურ ლიტერატურას და ასრულებენ კვლევასთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს. გარდა ამისა, დოქტორანტებს აქვთ ყოველკვირეული შეხვედრები თავიანთ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და სამეცნიერო- საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან, სადაც განიხილავენ საკუთარი კვლევის პროგრესსა და მიმართულებას.

დოქტორანტურის დონის კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტები უწყვეტად მუშაობენ თავიანთ კვლევით თემებზე და წარადგენენ შესრულებული დავალებებისა და კვლევითი აქტივობების შედეგებს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სტუდენტთა ავტონომიისა და პასუხისმგებლობის განვითარებას, რაც ასევე დადასტურდა პროგრამების ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს.

საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების გამო საჭიროებენ აკადემიური მომზადების, სწავლების ან შეფასების სპეციფიკურ ფორმებსა და პირობებს.

პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა მათი გამოცდილება საერთაშორისო სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაში. აკადემიურ პერსონალს აქვს მრავალკულტურულ გარემოში სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება და სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტების კულტურულ და სხვა სპეციფიკურ საჭიროებებს.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა ასევე აჩვენა მათი მზადყოფნა საერთაშორისო დოქტორანტებისთვის დისტანციური სწავლების შესაძლებლობის შეთავაზების კუთხით, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესუსტების გარეშე.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში.
- საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 - ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

განათლების მეცნიერებებში		

შეფასება

კომპონენტი 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	**შეფასება**
პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროგრამა ნამუშევრის, ითვალისწინებს ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;

- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ყველა სტუდენტის მიმართ შეფასება სამართლიანად ხორციელდება. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამჭვირვალეა, გამოქვეყნებულია და წინასწარ არისა ცნობილი სტუდენტისათვის.

სტუდენტის შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით; დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მოცემულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც ატვირთულია უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დგინდება შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორის, პროგრამის/დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და სკოლის დირექტორის შეთანხმებით.

სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების მრავალ ფორმას, მაგალითად: შუალედური და ფინალური გამოცდა, ან შუალედური, ფინალური და პრეზენტაცია, სემინარი, კოლოქვიუმი. სასწავლო პროცესში დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა აკადემიურ პერსონალთან ერთად განიხილოს საკუთარი მოსწრება და მისი გაუმჯობესების გზები.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე ინფორმაციას თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. ასევე ეფექტურად ფუნქციონირებს ონლაინ პლატფორმა MY UG, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ შეფასებები შემფასებლის კომენტარებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში დაამყარონ კომუნიკაცია ლექტორთან.

სასწავლო კომპონენტის შეფასების გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია ასევე მოცემულია დოქტორანტურის დებულებაში. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს საკუთარ ნაშრომს და გაასაჩივროს მიღებული შედეგი My UG სისტემაში შედეგების ასახვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით გათვალისწინებული შეხვედრების განრიგი განისაზღვრება ყოველი სემესტრის დაწყებამდე; სასწავლო კომპონენტის შეხვედრების დღეებს დოქტორანტი ირჩევს აკადემიური რეგისტრაციის დროს, ხოლო კვლევითი კომპონენტის შეხვედრები ინდივიდუალურად თანხმდება ხელმძღვანელთან/ თანახელმძღვანელთან. დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/ კვლევითი კომპონენტების დამტკიცება/ განხილვა ხორციელდება სამეცნიერო- საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე.

დოქტორანტის ცოდნისა და უნარების პროგრესის პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსა და დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ, პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. დისერტაციის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა წარმოადგენს ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესს, რომელიც ასევე მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგის პირობებში (კონცეფციის წარდგენა, კვლევითი სემინარი, კოლოქვიუმი, წინასწარი განაცხადი, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა).

სადისერტაციო საბჭოში დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტისთვის სავალდებულოა სწავლის პერიოდში შესაბამის კვლევით სფეროში მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, რომელთაგან მინიმუმ ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალში. (საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სია, სადაც ინდექსირებულია რეცენზირებადი ჟურნალები, განისაზღვრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე). გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა ჩაატაროს მინიმუმ ორი სამეცნიერო სემინარი უნივერსიტეტის შესაბამის აკადემიურ პერსონალთან (რაც დასტურდება შესაბამისი სკოლის სხდომის ოქმით) და მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ ერთ კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით.

დისერტაციის შეფასებისთვის მოიწვევიან ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები: ადგილობრივი ექსპერტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ ცენტრის თანამშრომელი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას შესაბამის სფეროში, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევაში და ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი (ხელოვნების მიმართულებებში — შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტი) უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალში, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის დისერტაციის თემატიკას. საერთაშორისო ექსპერტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ ცენტრის თანამშრომელი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას შესაბამის სფეროში, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევაში და ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი (ხელოვნების მიმართულებებში — შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტი) უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალში, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის დისერტაციის თემატიკას.

რაც შეეხება სადისერტაციო საბჭოს, იგი არის ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს და იქმნება სკოლის საბჭოს მიერ ნაშრომის წინასწარი დაცვის შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინასწარი დაცვის ოქმის საფუძველზე. დისერტაციის საბჭო შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისგან. მის შემადგენლობაში შედიან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები (გარდა დოქტორანტის ხელმძღვანელისა/თანახელმძღვანელისა), ორი ექსპერტი და უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ერთდროულად ასრულებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას.

სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი დისერტაციის საბჭოს სხდომაზე მიიღებს შეფასებას „არასაკმარისი“, მას ენიჭება უფლება ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული დისერტაცია. თუ დოქტორანტი მიიღებს სრულიად არადამაკმაყოფილოებელ შეფასებას (sub omni canone), იგი კარგავს იგივე დისერტაციის ხელახლა წარდგენაის უფლებას.

დისერტაციის დაცვისა და შეფასების პროცედურები, ასევე შეფასების კრიტერიუმები დეტალურად აღწერილია დოქტორანტურის დებულებაში. დისერტაციის დაცვა დისერტაციის საბჭოში არის საჯარო და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია სამეცნიერო საქმიანობის შესრულებისას დაიცვას შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული აკადემიური სტილი.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოქტორანტურის დებულება
- ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში
- ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში
- ელექტრონული პორტალი MY UG
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

განათლების მეცნიერებებში)		
პროგრამა 2 (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.4. სტუდენტის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის

ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებოშემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სწავლების პროცესისა და შედეგების დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები იღებენ საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციას და მხარდაჭერას სკოლის დირექტორის, დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის ან ასისტენტისაგან. უნივერსიტეტში დოქტორანტისათვის შეიქმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ორი პროფესორის/ასოცირებული პროფესორისგან შესაბამისი ან მონათესავე დარგიდან (დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო დოქტორანტს უწევს კონსულტაციას საგანმანათლებლო კომპონენტით გათვალისწინებულ მოდულებთან დაკავშირებით (სავალდებულო კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობისა და არჩევითი კომპონენტების შერჩევის შესახებ) და სპეციალობის მოდულის ფარგლებში ისმენს და აფასებს სადოქტორო სემინარებს. ასევე, საბჭო აკვირდება კვლევითი კომპონენტის (სადოქტორო ნაშრომის) მომზადებისა და წარდგენის ეტაპებს, რომელიც განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამით (ამ კომპონენტების თითოეული ეტაპი წარმოდგენილია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე), რაც უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევის ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებას. საბჭო ეხმარება დოქტორანტს შესაბამისი და სამეცნიერო თვალსაზრისით ღირებული სამეცნიერო ჟურნალების შერჩევაში კვლევის შედეგების გამოქვეყნების მიზნით და აძლევს ეხმარება გამოქვეყნების მოსამზადებელ პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამა, მასთან ერთად სილაბუსები და საგანმანათლებლო პროცესის რეგულირების დოკუმენტები, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე My UG სისტემის საშუალებით. სტუდენტს აქვს შეუზღუდავი წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე. გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი კითხვით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, როგორც ელფოსტით, ასევე My UG სისტემის მეშვეობით და სწრაფად და მარტივად წარადგინოს განაცხადი საჭირო დოკუმენტების მისაღებად.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში, რომელთა შესახებ ინფორმაციას იღებენ My UG სისტემის გზავნილების ან უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით.

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა დასაქმების მხარდაჭერის ოფისი მიმართულია სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობაზე. კარიერული მომსახურების თვალსაზრისით, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე კურსდამთავრებულებისთვის ხელმისაწვდომია დასაქმების ფორუმები, ინდივიდუალური კონსულტაციები, ასევე მიმდინარე ვაკანსიებთან დაკავშირებული ექსკლუზიური სიახლეები.

დოქტორანტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და გარკვეული პერიოდი გაატარონ საზღვარგარეთ, რასაც ასევე ადასტურებენ მონათესავე პროგრამის დოქტორანტები ინტერვიუების დროს.

უნივერსიტეტი სთავაზობს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს საუნივერსიტეტო გრანტს. დოქტორანტს უფლება აქვს მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად. კვლევით კომპონენტში შედის საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას, სამეცნიერო მობილობასა და სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარებას.

დოქტორანტს, რომლის წლიური სწავლის საფასური 3,000 ლარს ან მეტს შეადგენს, უფლება აქვს მიიღოს აღნიშნული გრანტი. სამეცნიერო კვლევის მხარდასაჭერად, დოქტორანტს შეუძლია მოითხოვოს გრანტი სწავლის სრული საფასურის 1/3- ის ოდენობით მთელი დოქტორანტურის ციკლის განმავლობაში, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებას.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის დებულება
- დოქტორანტურის დებულება
- სტუდენტური სისტემა "My UG"
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების სამუშაოს აღწერილობები
- სტუდენტთა დასაქმების მხარდაჭერის ოფისის ფუნქციონირების წესები
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებ-საიტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**შეფასება**

პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო- კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით;

ჩართულობას ▪ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კვლევის კონცეფციის წარდგენა პოტენციური დოქტორანტის მიერ ხდება სამეცნიერო- საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს კონცეფციის შეფასების კრიტერიუმებით. სამეცნიერო - საკონსულტაციო საბჭოს მიერ პოზიტიური გადაწყვეტილების მისაღებად სავალდებულოა კვლევის თემის ხელმძღვანელის თანხმობა. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სამეცნიერო- საკონსულტაციო საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს და შედეგის შესახებ აცნობებს სკოლის საბჭოს ხუთი სამუშაო დღის ვადაში. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით სკოლის საბჭო აფორმებს ორი სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება აღწერს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისადმი მოთხოვნებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს.

დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური და/ ან სამეცნიერო პერსონალი; ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებას; განსაზღვრავს დოქტორანტის კვლევის მიმართულებას, აკონტროლებს კვლევის შედეგებს და სადისერტაციო ნაშრომს, აძლევს რჩევებს კვლევის მეთოდებსა და მონაცემთა ანალიზთან დაკავშირებით და განიხილავს კვლევის შედეგებსა და სტატიებს დოქტორანტთან ერთად.

დოქტორანტის ხელმძღვანელს უფლება აქვს ერთდროულად ხელმძღვანელობა გაუწიოს უნივერსიტეტში აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს სამ დოქტორანტს; ხუთი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის

ხელმძღვანელობა დასაშვებია, როდესაც შეჩერებული სტატუსის მქონე დოქტორანტი ითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისაღებად დისერტაციის წარდგენის მიზნით.

კვლევის პროცესში, ხელმძღვანელი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რეგულარულ მართავს დოქტორანტთან კონსულტაციებს კვლევით საკითხებზე. დოქტორანტის კონსულტაცია, სხვა თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: კვლევის დიზაინი/ პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ შემოქმედებით ქსელებში ინტეგრაციის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალებში და ა.შ.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, სკოლის საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მხარს უჭერს დოქტორანტს სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში. თანახელმძღვანელის დანიშვნის შემთხვევაში, მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის დისერტაციის თემას/კვლევით სფეროს.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დოქტორანტის კვლევით პროცესში უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ჩართვა. დოქტორანტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა, შეაფასონ ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხი.

მაშინ როდესაც დოქტორანტებს უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად, აქვთ თეორიული უფლება, შეცვალონ ხელმძღვანელი, პრაქტიკული გამოცდილება სხვა ტენდენციაზე მიუთითებს. მონათესავე პროგრამების დოქტორანტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ასეთი პრაქტიკა სინამდვილეში არ არსებობს.

განათლების მეცნიერებების ქართულენოვან და ინგლისურენოვან სადოქტოროპროგრამებში ჩართულია 8 აკადემიური პერსონალი და 16 მოწვეული პროფესორია. თითოეულ მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი განათლების ან მის მონათესავე სფეროში.

რადგან პროგრამა ახალია, შესავსები ცხრილი ცარიელი რჩება; თუმცა, პროგრამას მხარს უჭერს პოტენციური ხელმძღვანელების/ თანახელმძღვანელების საკმარისი რაოდენობა. ამჟამინდელი მონაცემებით, პროგრამებს ჰუავთ 24 პოტენციური ხელმძღვანელი.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)**[4]	
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
// სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანთა რაოდენობა	
// დოქტორანტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

[4] აუცილებლის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გთხოვთ დამატებითი ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

განათლების მეცნიერებებში)		

შეფასება

კომპონენტი [3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა]	**შეფასება**
პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორცილებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის

მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;

- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერის პროგრამებში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და დასაქმებულია ფუნქციებისა და შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად. საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულების თანახმად, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო მოთხოვნაა დოქტორის ხარისხის ფლობა. პროფესორს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ექვსწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, ხოლო ასოცირებულ პროფესორს - მინიმუმ სამწლიანი შესაბამისი გამოცდილება, რაც დასტურდება პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფილებით.

პროგრამებში ჩართულია რვა აკადემიური პერსონალი, მათ შორის ხუთი პროფესორი და სამი ასოცირებული პროფესორი, რომელთაგან ექვსი უნივერსიტეტთან არის აფილირებული. გარდა ამისა, პროგრამებში მონაწილეობს 16 მოწვეული პროფესორი, რომელთაგან ყველას აქვს დოქტორის ხარისხი განათლების ან მის მონათესავე სფეროებში. აკადემიურ პერსონალს აქვს კვლევისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება, რაც ხელს უწყობს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

საქართველოს უნივერსიტეტი თავის სადოქტორო პროგრამებს ახორციელებს უცხოური უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტებისა და მკვლევარების ჩართულობით. პროგრამებში ჩართული არიან საერთაშორისო ექსპერტები აშშ-ის, კვიპროსის, ლიეტუვის, მალტის, სლოვაკეთის და შვეიცარიის უნივერსიტეტებიდან.

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, სადოქტორო პროგრამებში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციებით ან კვლევით პროექტებში მონაწილეობით. პროგრამებში ჩართული თვრამეტი აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

მოწვეული აკადემიური პერსონალი შეირჩევა მათი პროფესიული გამოცდილებისა და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისი კომპეტენციების საფუძველზე. მაგალითად, კურსს „განათლების სფეროში დონორებთან თანამშრომლობა და პროექტების მართვა განათლებაში“ კითხულობს ექსპერტი, რომელიც 2009 წლიდან 2021 წლამდე ხელმძღვანელობდა Erasmus+-ის საქართველოს ეროვნულ ოფისს. კურსს „შედარებითი და საერთაშორისო განათლება“ კითხულობს ორი საერთაშორისო ექსპერტი, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი და შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში დიდი გამოცდილება.

პროგრამებს აქვთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც რეგულარულად განახლდება. სამუშაო დატვირთვის განაწილებისას გათვალისწინებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტივობების სირთულე და პერსონალის ვალდებულებები. ყოველი სემესტრის დასაწყისში ხდება რეგულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის მიერ საკუთარი მოვალეობების ეფექტურად შესრულება.

სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალი კვირაში 40 საათია დასაქმებული, ხოლო ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალი დასაქმებულია საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების სისტემის საფუძველზე. გარკვეულ შემთხვევებში, ექსკლუზიური შეთანხმებები შეიძლება ზღუდავდეს ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ პერსონალს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობას. აკადემიური დატვირთვა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით საქმიანობას, ხოლო სრული განაკვეთით დასაქმებული პერსონალის წლიური დატვირთვა შეადგენს 1,760 საათს. პროგრამების ფარგლებში, პროფესორის ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვა არ აღემატება 20 საათს. თუ აკადემიური პერსონალის წევრი ასრულებს მუდმივ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, სავალდებულო სამუშაო დატვირთვა მცირდება 50%-ით. ინტენსიური კვლევითი საქმიანობის შემთხვევაში, სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალი შეიძლება ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლდეს სასწავლო მოვალეობებისგან ერთი სემესტრით ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

დოქტორანტებს ეძლევათ ყოველკვირეული კონსულტაციის საათები მათ ხელმძღვანელებთან და კურსის ლექტორებთან, რაც მითითებულია კურსის სილაბუსებში.

პროგრამების განხორციელებას მხარს უჭერს დაახლოებით 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეულებში, მათ შორის აკადემიური საქმეთა ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში, ადამიანური კაპიტალის მართვის სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, იურიდიულ და IT სამსახურებში. ამჟამად, აკადემიური საქმეთა ადმინისტრირების სამსახურში მუშაობს 14 თანამშრომელი, ბიბლიოთეკაში - ექვსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - ხუთი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში - შვიდი და სტუდენტურ საქმეთა ცენტრში - ორი.

უნივერსიტეტს ასევე არსებობს მიმღების სერვისი, რომელიც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ასრულებს პირველი საკონტაქტო წერტილის ფუნქციას. სტუდენტებს ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღება შეუძლიათ პირდაპირ ან შეკითხვების ელექტრონულად გაგზავნა MyUG პლატფორმის მეშვეობით.

ადმინისტრაციული პერსონალის ნებაყოფლობითი ბრუნვა არ აღემატება 15%- ს, რაც დაახლოებით 85%-იან პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელზე მიუთითებს.

საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად აკონტროლებს თავის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიულ ინდიკატორებს, მათ შორის აკადემიური სფეროების განვითარებას, სწავლის საფასურის პოლიტიკას, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობას და სტუდენტების განაწილებას სწავლის საფეხურებს შორის. ამ ინდიკატორების ანალიზი ხელს უწყობს კლასტერში პროგრამების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ორივე პროგრამას ხელმძღვანელობენ პროფესორი დომინიკ დვორჟაკი და ასოცირებული პროფესორი რევაზ ტაბატაძე, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური ექსპერტიზა და პრაქტიკული გამოცდილება.

დომინიკ დვორჟაკი გამოცდილი განათლების მკვლევარი და აკადემიური წრეების წევრია, რომელიც ჩარლზის უნივერსიტეტთან არის აფილირებული და სპეციალიზირებულია სასწავლო გეგმის კვლევებსა და განმანათლების ცვლილებებში. იგი ხელმძღვანელობდა და თანახელმძღვანელობდა ჩეხეთის გრანტების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ მრავალ პროექტს სასკოლო არჩევანზე, სასწავლო გეგმის

ტენდენციებსა და სკოლებში ორგანიზაციულ ტრანსფორმაციაზე. მისი პროფესიული როლები მოიცავს Scopus- ის ინდექსირებული ჟურნალის Orbis Scholae- ს აღმასრულებელი რედაქტორის და ჩეხეთის რესპუბლიკის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროში ეროვნული სასწავლო გეგმის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობებს. ის განათლების ფაკულტეტზე კითხულობს სამაგისტრო/ სადოქტორო კურსებს კურიკულუმის დაგეგმვაში, აკადემიურ წერასა და თვისებრივი კვლევის მეთოდებში და არის მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

რევაზ ტაბატაძე არის მეცნიერი და პედაგოგი, რომელიც სპეციალიზირებულია განათლების პოლიტიკაში, კურიკულუმის შემუშავებასა და გამოყენებით ლინგვისტიკაში და ამჟამად ატარებს პოსტდოქტორულ კვლევას პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტში. მისი კვლევა ფოკუსირებულია გლობალიზაციაზე, კურიკულუმის ტრანსფორმაციაზე, დისკურსის ანალიზსა და ენობრივ განათლებაზე. იგი ხელმძღვანელობს განათლების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს საქართველოს უნივერსიტეტში, როგორც ასოცირებული პროფესორი და აქვს დიდი გამოცდილება მასწავლებელთა განათლების, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მრავალენოვანი პედაგოგიკის სფეროში. მისი ექსპერტიზა ასევე მოიცავს აკადემიურ წერას, თვისებრივ და ლინგვისტურ კვლევის მეთოდებს და ლიდერობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც მხარდაჭერილია ბევრი კვლევითი გრანტით, საერთაშორისო პროფესიული ტრენინგითა და მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციით.

პროგრამის ხელმძღვანელების მოვალეობები მოიცავს შრომის ბაზრის ანალიზს, წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებში პროგრამების შედარებით მიმოხილვას, სასწავლო გეგმის შემუშავებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გასაძლიერებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობას, დამსაქმებლებთან თანამშრომლობას სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მხარდასაჭერად და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან კოორდინაციას აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაქირავების მიზნით.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა სხვა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

პროგრამა 1 ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[5] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

სულ აკადემიური პერსონალი	**8**	**8**	**8**	**6**
- პროფესორი	5	5	5	4
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	2
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	16	16	16	_
სამეცნიერო პერსონალი				_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

პროგრამა 2 ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**Iდარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**8**	**8**	**8**	**6**
- პროფესორი	5	5	5	4
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	2
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	16	16	16	_
სამეცნიერო პერსონალი				_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება
- დოქტორანტურის დებულება
- სამუშაოს აღწერილობა
- კადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა

[6] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაცემები
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 - ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შეფასება**
პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტმა დაადგინა გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიმართ, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის განათლების სტანდარტებს და

ასახავს პროგრამის სპეციფიკას, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. ეს მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში.

დოქტორანტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უახლესი ცოდნა, დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში და გამოცდილება ხელმძღვანელობასა ან თანახელმძღვანელობაში, ან ჰქონდეს დასრულებული შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები (როგორიცაა ტრენინგები, სემინარები ან პროფესიული განვითარების კურსები). გარდა ამისა, ხელმძღვანელს მონაწილეობა უნდა მიეღო სამეცნიერო კვლევაში და/ან ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდეს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია უნივერსიტეტის მიერ აღიარებულ საერთაშორისოდ ინდექსირებულ, რეცენზირებად ჟურნალში, რომელიც შეესაბამება სადოქტორო დისერტაციის ზოგად თემას ან კვლევით სფეროს.

თუ ინიშნება თანახელმძღვანელი, მისი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს სადოქტორო დისერტაციის თემასა და კვლევით სფეროს. იგივე საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდება თანახელმძღვანელებზეც. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა ჩართული იყოს საერთაშორისო თანახელმძღვანელიც.

დოქტორანტის ხელმძღვანელი, ან რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში, ერთ- ერთი მაინც, უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) ან სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელებსა თუ თანახელმძღვანელებზე.

პროგრამაში სულ 23 ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელია ჩართული. მათი უმრავლესობა რეგულარულად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, იღებს ინფორმაციას უახლესი სამეცნიერო მიღწევების შესახებ, იზიარებს და იყენებს საუკეთესო პრაქტიკას და ახორციელებს კვლევით პროექტებს. პერსონალური საკმეების განხილვის საფუძველზე, პროგრამაში ჩართულმა 18 პოტენციურ ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს ბოლო სამი წლის განმავლობაში აქტიური მონაწილეობა აწვს მიღებული კვლევით პროექტებში და გამოაქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალებში.

კლასტერის პროგრამებში სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის მიხედვით, კვალიფიკაციის მოთხოვნებია: დოქტორის ხარისხი, მინიმუმ სამწლიანი სამეცნიერო ან პროფესიული გამოცდილება, ელექტრონულ საინფორმაციო რესურსებთან და საოფისე პროგრამულ უზრუნველყოფასთან მუშაობის უნარი და მინიმუმ ერთი ევროპული ენის ცოდნა.

ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისგან მოსალოდნელია ჰქონდეთ ძლიერი კვლევითი უნარები, კრიტიკული აზროვნება, ეფექტური ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია, პრეზენტაციისა და მოსმენის, დოკუმენტაციასთან მუშაობის, გუნდური მუშაობისა და მულტიკულტურულ გარემოში კომუნიკაციის უნარები.

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება ასევე განსაზღვრავს ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობას. ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს სამ აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს. ხუთამდე დოქტორანტის ხელმძღვანელობა დაშვებულია იმ შემთხვევებში, როდესაც დოქტორანტი, რომელსაც სტატუსიც ჰქონდა შეჩერებული, ითხოვს აღდგენას დისერტაციის წარდგენისა და აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნით.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში), **პროგრამა 2** (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში)

ყველა სხვა საჭირო ინფორმაცია შეტანილი იყო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებულ ნაწილში, ამასთან ერთად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება სპეციფიური იყოს ორი პროგრამიდან რომელიმესთვის.

პროგრამა 1 - ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში			
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**7**	**5**
- პროფესორი	4	4	3
- ასოცირებული პროფესორი	3	3	2
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	16	16	_
სამეცნიერო პერსონალი			_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით			

პროგრამა 2 - ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში			
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[8]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**7**	**5**
- პროფესორი	4	4	3
- ასოცირებული პროფესორი	3	3	2
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	16	16	_
სამეცნიერო პერსონალი			_

[7] საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომის ხელმძღვანელები.

[8] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამუშაოს აღწერილობა
- დოქტორანტურის დებულება საქართველოს უნივერსიტეტში
- სადოქტორო განათლების ჩარჩო
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის რეზიუმეები
- ინტერვიუები პროგრამების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შეფასება**

პროგრამა 1 ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტმა დანერგა განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამებში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის ინსტიტუციური მექანიზმები.

არსებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ პერსონალის შეფასება ხორციელდება სემესტრის ბოლოს, სტუდენტთა ანონიმური კითხვარების მეშვეობით, რომლებიც აფასებს როგორც სასწავლო კურსებს, ისე ლექტორებს. შედეგები ანალიზდება პროგრამის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ სკოლის დირექტორთან ერთად, ხოლო შესაბამისი რეკომენდაციები შესაძლოა განხილულ იქნეს ინსტიტუციურ დონეზე ან ინდივიდუალურად, შესაბამის პერსონალთან. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვები გამოიყენება პროგრამითა და მისი კომპონენტებით პერსონალის კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად, მათ შორის სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების, სამუშაო დატვირთვისა და ლიტერატურის ადეკვატურობის შესახებ. შესაბამისად, დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულება ატარებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევებს, აანალიზებს შედეგებს და იყენებს მათ გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად.

კვლევითი საქმიანობა ასახულია ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმებსა და პერსონალის კვალიფიკაციისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის მიმართ არსებულ მოლოდინებში.

განხილული მასალები მიუთითებს, რომ შეფასების შედეგები ძირითადად პროფესიული განვითარების მიზნით გამოიყენება. კვლევის მიგნებები და შესაბამისი ანალიზი დაკავშირებულია რეკომენდაციებთან, პერსონალთან დისკუსიებსა და პროგრამის კომპონენტების შესაძლო კორექტირებასთან. თუმცა, დოკუმენტაცია ნათლად არ ადასტურებს, რომ პერსონალის შეფასების შედეგები ოფიციალურად გამოიყენება დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. წარმოდგენილი მტკიცებულებები უფრო მეტად აჩვენებს შეფასების შედეგების გამოყენებას განვითარებისა და პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმებისთვის, ვიდრე დაწინაურებისთვის.

უნივერსიტეტი ასევე რეგულარულად სთავაზობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახური მხარს უჭერენ კვლევით და აკადემიურ განვითარებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს პროექტებში, რომლებიც კონცენტრირებულია სწავლების ინოვაციურ და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებზე, ხოლო პროფესიული განვითარების ცენტრი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ყოველწლიურ ვორქშოფებს ატარებს.

დაწესებულება სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფს მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას. დოკუმენტაცია მიუთითებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების მექანიზმების არსებობაზე, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების მხარდაჭერაზე, კვლევით პროდუქტიულობასთან დაკავშირებულ ბონუსებსა და სამეცნიერო მივლინებების ხელშეწყობაზე. აკადემიურ პერსონალს ასევე შეუძლია უფასოდ გამოაქვეყნოს ნაშრომები უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილ აკადემიურ ჟურნალებში. ეს ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი გვთავაზობს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ხელმძღვანელების, მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებსა და კვლევასთან დაკავშირებულ საქმიანობებში. გარდა ამისა, პერსონალისთვის ტარდება ტრენინგები სწავლების ციფრული და ონლაინ მეთოდების გამოყენებაში, რაც ხელს უწყობს ელექტრონული სწავლებისა და დისტანციური სწავლების ეფექტიან გამოყენებას საჭიროებისამებრ.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარებისა და კვლევის მხარდაჭერის იმ ინსტიტუციურ სისტემს, რომელიც აღწერილია კლასტერის დონეზე. ვინაიდან პროგრამა ახლად შექმნილია, არსებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი გადის ინსტიტუციური შეფასების პროცედურებს და სარგებლობს პროფესიული განვითარების აქტივობებით, კვლევითი დაფინანსებით, კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით და თანამედროვე სწავლების მეთოდების, მათ შორის ონლაინ სწავლების ინსტრუმენტების, ტრენინგებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ხორციელდება პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების იმავე ინსტიტუციურ ჩარჩოში. არსებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს ხელი მიუწვდება ინსტიტუციური შეფასების პროცედურებზე, კვლევის მხარდაჭერის მექანიზმებზე, პროფესიული განვითარების ღონისძიებებსა და ციფრული სწავლების ტრენინგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- შესაბამისი კითხვარები და მიღებული შედეგების ანალიზი
- ბონუსების გაცემის მეთოდოლოგია
- პერსონალის მართვის რეგულაციები
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება და პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- პერსონალის პირადი საქმეები
- პროექტი STAR
- საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სახელი, საფეხური)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სახელი, საფეხური)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შეფასება**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;

- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი ფლობს ინფრასტრუქტურულ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება კლასტერში შემავალი სადოქტორო პროგრამების განხორციელების საჭიროებებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს ხელმისაწვდომი და სათანადოდ მოვლილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ აუდიტორიებსა და საკონფერენციო სივრცეებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ ბიბლიოთეკას, სასწავლო სივრცეებს, ლაბორატორიებსა და თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას. ფიზიკური გარემო ასევე მოიცავს შშმ პირებზე ადაპტირებულ სივრცეებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

მატერიალური რესურსების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც მხარს უჭერს როგორც სასწავლო, ისე კვლევით საქმიანობას. ბიბლიოთეკა აერთიანებს ბეჭდურ აკადემიურ ლიტერატურასა და ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება სადოქტორო საფეხურის სწავლებისა და კვლევის საჭიროებებს. ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა რესურსული გარემოს მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა, რადგან ის დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენონ პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევითი მასალები.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ბიბლიოთეკას, დაათვალიერა წიგნადი ფონდი, შეამოწმა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა და შეაფასა პროგრამების განხორციელებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა. ადგილზე ვიზიტისა და წარმოდგენილი

დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი მატერიალური გარემო.

მთლიანობაში, კლასტერი აღჭურვილია სადოქტორო განათლებისა და კვლევისთვის შესაბამისი მატერიალური და საინფორმაციო რესურსებით. არსებული ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკის მომსახურება და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროგრამების განხორციელებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების სკოლის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიებით, მათ შორის ისეთი თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით, როგორიცაა კომპიუტერები, პროექტორები და უსადენო ინტერნეტი, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს.

პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სრულად არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბეჭდური ფონდის გარდა, შესაძლებელია წვდომა წამყვან საერთაშორისო ელექტრონულ პლატფორმებზე, მათ შორის: JSTOR, Hinari, EBSCO, Cochrane Library, Scopus, ScienceDirect და HEINONLINE. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს დოქტორანტების კვლევით საქმიანობას და უზრუნველყოფს წვდომას დარგის აქტუალურ აკადემიურ ლიტერატურაზე.

არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ასევე სარგებლობს უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების სკოლის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები და სასწავლო სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით, მათ შორის კომპიუტერებით, პროექტორებითა და უსადენო ინტერნეტით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა. ბეჭდურ მასალებთან ერთად, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული მონაცემთა ბაზები, მათ შორის: JSTOR, Hinari, EBSCO, Cochrane Library, Scopus, ScienceDirect და HEINONLINE. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელებას და უზრუნველყოფს რელევანტურ სამეცნიერო წყაროებზე წვდომას .

პროგრამისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური და საინფორმაციო რესურსები საკმარისია მისი განხორციელებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ბიბლიოთეკის რესურსების ფლობისა და წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

შეფასება

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	**შეფასება**
პროგრამა 1 (განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში შემავალი სადოქტორო პროგრამებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ითვალისწინებს ფინანსური მხარდაჭერის იმ მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ეფექტიანი განხორციელებისთვის. გამოყოფილი ფინანსური რესურსები ფარავს პროგრამის განხორციელების ისეთ საკვანძო კომპონენტებს, როგორიცაა სასწავლო და

სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული მხარდაჭერა და სადოქტორო სწავლების ორგანიზებისათვის საჭირო რესურსები.

ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებს. ფინანსური რესურსები გამოყოფილია ისეთი აქტივობებისთვის, როგორიცაა მონაწილეობა საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევითი ვიზიტები და კვლევის შედეგების გამოქვეყნება, მათ შორის, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვა. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს დოქტორანტების კვლევითი კომპეტენციების განვითარებასა და კვლევის შედეგების საერთაშორისო ცნობადობას. სადოქტორო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლის წილი ავტომატურად გამოიყოფა კვლევითი კომპონენტის განხორციელების მხარდამჭერი ხარჯებისთვის.

პროგრამების ფინანსური დაგეგმვა ასევე ითვალისწინებს სადოქტორო განათლების განხორციელებისათვის აუცილებელი სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და შენარჩუნებას. ინსტიტუციური რესურსები, მათ შორის საბიბლიოთეკო მომსახურება, ელექტრონული მონაცემთა ბაზები და კვლევითი ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომია დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალისთვის და ემსახურება პროგრამების ფარგლებში კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

გარდა ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროებზე წვდომას აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისებისა და მხარდაჭერის გზით, რათა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და საგრანტო კონკურსებში. აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს სადოქტორო პროგრამების ფარგლებში კვლევითი საქმიანობის მდგრადობასა და შემდგომ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამები ახალია, მათ განმახორციელებელ სკოლას აქვს სადოქტორო პროგრამების მართვის, აგრეთვე დოქტორანტებისა და კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროგრამების ბიუჯეტში ხარჯების დაანგარიშებისას დაშვებულია მცირე ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ხელმძღვანელობის ხარჯები წლიურ ბიუჯეტში სემესტრულადაა დათვლილი - სემესტრული ხარჯები შეტანილია როგორც წლიური ხარჯი. ბიუჯეტის გადახედვა მიზანშეწონილია, რათა აღმოიფხვრას ნებისმიერი შეუსაბამობა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს კლასტერულ ანალიზში აღწერილი ფინანსური ჩარჩოს ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი ადასტურებს, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორანტების სასწავლო თუ კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად საკმარისი ფინანსური რესურსები არის გამოყოფილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ფინანსური გეგმა ითვალისწინებს დაახლოებით 257,781 ლარის ოდენობის ხარჯებს პირველ წელს, 503,807 ლარს - მეორე წელს, ხოლო 762,739 ლარს - მესამე წელს. დაგეგმილი ფინანსური რესურსები ფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯებს, რაც მოიცავს აკადემიური პერსონალის ჩართულობას სწავლებასა და ხელმძღვანელობაში, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ხარჯებს, აგრეთვე სადოქტორო კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

დაგეგმილი ფინანსური რესურსები ხელს უწყობს პროგრამის ეფექტიან წარმართვას და უზრუნველყოფს სადოქტორო განათლების განხორციელებას იმ ფინანსურ ჩარჩოში, რომელიც აღწერილია კლასტერის დონეზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ხორციელდება კლასტერის ნაწილში გაანალიზებული ფინანსური ჩარჩოს ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებისა და სადოქტორო სტუდენტების აკადემიური და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები არის გათვალისწინებული.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური გეგმის მიხედვით, პროგრამის ხარჯთაღრიცხვა პირველ წელს შეადგენს დაახლოებით 466,995 ლარს, მეორე წელს - 922,516 ლარს, ხოლო მესამე წელს - 1,387,443 ლარს. ეს ფინანსური რესურსები მიიმართება პროგრამის განხორციელების მხარდასაჭერად, რაც მოიცავს აკადემიური პერსონალის ანაზღაურებას, სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობას, აგრეთვე პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ კომპონენტებს.

პროგრამის დონეზე არსებული ფინანსური დაგეგმვა თანხვედრაშია კლასტერულ ანალიზში აღწერილ უფრო ფართო ინსტიტუციურ ფინანსურ ჩარჩოსთან, რომელიც სადოქტორო განათლების მხარდაჭერას ემსახურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ბიუჯეტები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	ბიუჯეტის გადახედვა მასში არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით.
პროგრამა 1 განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 2 განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

შეფასება

კომპონენტი [4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა]	**შეფასება**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ

ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის
გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის მხარე (დოქტორანტი, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამები შემუშავებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, სწავლის, სწავლებისა და კვლევითი პროცესების ხარისხისა და რელევანტურობის უზრუნველყოფას და ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპს.

როგორც ახლად შემუშავებული პროგრამების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უპირველეს ყოვლისა აისახება იმ პროცედურებში, რომლებიც დადგინდა პროგრამის დიზაინისა და განხორციელლებისთვის მომზადების ეტაპზე, ასევე, ზოგად PDCA ლოგიკასა და დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.

პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავდა შედარებით ანალიზს ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ სადოქტორო პროგრამებთან. ამ შედარებითმა ანალიზმა პროგრამის

შემმუშავებლებს საშუალება მისცა, შეეფასებინათ შემოთავაზებული სასწავლო გეგმის სტრუქტურა, სწავლის შედეგები და კურსის კომპონენტები საქართველოში თუ საზღვარგარეთ არსებულ მსგავს პროგრამებთან მიმართებით, რამაც ხელი შეუწყო პროგრამების საერთაშორისო აკადემიურ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას.

პროგრამები შემუშავებულია სადოქტორო განათლების მარეგულირებელი ინსტიტუციური წესებისა და ნორმების შესაბამისად. ეს რეგულაციები განსაზღვრავს სადოქტორო სწავლების სტრუქტურას, მიღების პროცედურებს, ხელმძღვანელობის წესებს, კვლევით მოთხოვნებს, აგრეთვე აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობებს. მარეგულირებელი ჩარჩო ასევე ადგენს პროცედურებს დოქტორანტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგისა და სადოქტორო სწავლების პროცესის მართვისთვის მას შემდეგ, რაც პროგრამები ამოქმედდება.

პროგრამის რელევანტურობისა და მოთხოვნის შესაფასებლად, უნივერსიტეტმა ჩაატარა დაინტერესებულ მხარეთა რამდენიმე გამოკითხვა. ეს მოიცავდა აკადემიური პერსონალის, პოტენციური დოქტორანტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვებს. ამ კვლევების მიზანი იყო განათლების მეცნიერებების სფეროში სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული მოლოდინების შეფასება და იმ კომპეტენციების იდენტიფიცირება, რომლებიც მოეთხოვებათ პროგრამის კურსდამთავრებულებს.

გარდა ამისა, პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის აუცილებელი კომპეტენციების იდენტიფიცირებას. კვლევის შედეგებმა ხაზი გაუსვა კვლევითი კომპეტენციის, განათლების პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ცოდნის, ლიდერული თვისებებისა და ანალიტიკური უნარების მნიშვნელობას.

პროგრამები ასევე ითვალისწინებენ სადოქტორო სტუდენტების აკადემიური და კვლევითი წინსვლის მონიტორინგისთვის საჭირო მექანიზმებს პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ. კერძოდ, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო განახორციელებს დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ზედამხედველობას, განიხილავს კვლევის კონცეფციებს, მონიტორინგს გაუწევს სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ეტაპებს და გასცემს რეკომენდაციებს კვლევითი პროცესის მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, პროგრამები ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას პროგრამის შეფასების პროცესში მისი განხორციელების დაწყებისთანავე. ინსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეები შეიძლება იყვნენ: დოქტორანტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, ხელმძღვანელები და თანახელმძღვანელები, ასევე პროფესიული წრეების წარმომადგენლები. აღნიშნული ჩართულობა მიზნად

ისახავს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მხარდაჭერას და მოცემულ სფეროში სადოქტორო განათლების რელევანტურობის უზრუნველყოფას.

აკრედიტაციის პროცესისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება ასევე მოიცავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობას. პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული პერსონალი და შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ანგარიშის მომზადებისა და გადახედვის პროცესში. თვითშეფასების პროცესი იქცა შესაძლებლობად, პროგრამის განხორციელებამდე გაანალიზებულიყო პროგრამის დიზაინი, შეფასებულიყო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა და გამოვლენილიყო გაუმჯობესების პოტენციური მხარეები.

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, უნივერსიტეტმა უკვე შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი პროცედურები, რომლებიც მოიცავს ბენჩმარკინგს, კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან, სადოქტორო კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და პროგრამის განხორციელებისა და აკადემიური პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის დაგეგმილ მექანიზმებს. აღნიშნული პროცედურები წარმოადგენს პროგრამის ხარისხის საფუძველს მათი პრაქტიკული განხორციელების ეტაპზე.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფარგლებში და შეესაბამება უნივერსიტეტში სადოქტორო განათლების მარეგულირებელ წესებს, რომლებიც აღწერილია კლასტერულ ანალიზში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფარგლებში და შეესაბამება უნივერსიტეტში სადოქტორო განათლების მარეგულირებელ წესებს, რომლებიც აღწერილია კლასტერულ ანალიზში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და ინსტრუმენტები
- შედარებითი ანალიზის დოკუმენტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში შემავალი სადოქტორო პროგრამები ახალი შემუშავებულია, რის გამოც მათ აქამდე არ გაუვლიათ გარე აკრედიტაცია და არ მიუღიათ ფორმალური გარე შეფასების რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული პროცედურების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, მისი შემუშავების ეტაპზე, შეძლო პროგრამის გარე შეფასება.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა შეფასდა ქართველი გარე შემფასებლის/ექსპერტის მიერ. ექსპერტის დასკვნა დადებითია და მოიცავს ერთ მცირე რეკომენდაციას სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, კერძოდ, მეთოდების განახლებას უფრო თანამედროვე მიდგომებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ექსპერტის, დოქტორ შირლი ენ გაუჩის მიერ ჩატარებულმა გარე შეფასებამ პროგრამა შეადარა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, მათ შორის: სადოქტორო განათლების ზალცბურგის პრინციპებს, გაერთიანებული სამეფოს სადოქტორო ხარისხის მახასიათებლებს და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) მე-8 დონის დესკრიპტორებს. დასკვნის მიხედვით, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის სტრუქტურა შესაბამისობაშია სადოქტორო განათლების საერთაშორისო მოლოდინებთან და ადეკვატურად პასუხობს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის კვალიფიკაციებს.

გარე შეფასების საფუძველზე ასევე გაიცა რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი გაძლიერების მიზნით, რაც მოიცავს საჯაროდ ხელმისაწვდომი ხელმძღვანელობის პოლიტიკის შემუშავებასა და არჩევითი

მოდულების სრული სილაბუსების მომზადებას, პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი უფრო მკაფიო შესაბამისობის ჩვენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და ინსტრუმენტები
- გარე შემფასებლების ანგარიშები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენებზეა შემოთავაზებული, ეყრდნობა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ინსტიტუციურ ჩარჩოს. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენება.

თვითშეფასების მასალებისა და ინსტიტუციური რეგულაციების თანახმად, პროგრამის მონიტორინგი ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. ეს მოიცავს ანალოგიურ პროგრამებთან შედარებით ანალიზს, პროგრამის სტრუქტურისა და სილაბუსების გადახედვას, სწავლის შედეგების ანალიზსა და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვებს. ინსტიტუციური ჩარჩო ასევე ითვალისწინებს შეფასების შედეგების განხილვას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებში.

არსებული მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ პროგრამის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები. აკადემიურ პერსონალს, პოტენციურ სტუდენტებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის ჩატარდა გამოკითხვები, რათა შეფასებულიყო პროგრამის რელევანტურობა, მოსალოდნელი კომპეტენციები და მოთხოვნა სადოქტორო განათლებაზე მოცემულ სფეროში. თვითშეფასების პროცესში ასევე ჩართული იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე.

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ პროგრამის შეფასება ჩამოყალიბებულია, როგორც თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე.

დოკუმენტები დამატებით ადასტურებს, რომ პროგრამის მონიტორინგი დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისი კომპონენტების შეფასებასთან. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია მონიტორინგის მოდელის ფარგლებში სტუდენტთა კითხვარების, დამსაქმებელთა უკუკავშირის, აკადემიური პერსონალის გამოკითხვების, სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვისა და პროგრამის შედეგების ანალიზის გამოყენება. ამ პროცესების შედეგები განკუთვნილია იმისათვის, რომ საფუძვლად დაედოს პროგრამის მოდიფიცირებას, მასში ცვლილებების შეტანასა და შემდგომ განვითარებას.

ამავდროულად, ვინაიდან ორივე პროგრამა ახლად შექმნილია, არსებული მტკიცებულებები ძირითადად ადასტურებს მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცედურების არსებობას და არა მათი გრძელვადიანი განხორციელების შედეგებს. კერძოდ, არსებული დოკუმენტაცია ადასტურებს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ჩამოყალიბებული მექანიზმების არსებობას, თუმცა მას ჯერ არ შეუძლია წარმოაჩინოს რეგულარული შეფასების შედეგები, რომლებიც დაეფუძნებოდა პროგრამის უშუალო განხორციელებას, დოქტორანტების პროგრესს ან ამ პროგრამების კურსდამთავრებულთა შედეგებს.

მთლიანობაში, კლასტერი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცედურები, გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. ამ მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობის დემონსტრირება მას შემდეგ იქნება საჭირო, რაც პროგრამები სრულად ამოქმედდება.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა ჩართულია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების იმ ინსტიტუციურ ჩარჩოში, რომელიც აღწერილია კლასტერულ დონეზე.

როგორც ახლად შექმნილი პროგრამა, არსებული მტკიცებულებები ადასტურებს განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურების არსებობას, თუმცა არა მათი ხანგრძლივი გამოყენების შედეგებს. პროგრამა მოცულია იმ ინსტიტუციური მექანიზმებით, რომლებიც ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების, სილაბუსების გადახედვისა და პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასების გზით. ეს პროცედურები გამიზნულია პროგრამის დახვეწისა და მომავალი პერიოდული შეფასების მხარდასაჭერად.

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, მონიტორინგისა და შეფასების ამ მექანიზმების ეფექტიანობის დემონსტრირება საჭირო იქნება უშუალოდ პროგრამის განხორციელების პროცესში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების იმავე ინსტიტუციურ ჩარჩოში.

ვინაიდან პროგრამა ახალია, დოკუმენტაცია ადასტურებს მონიტორინგისა და შეფასების დადგენილი პროცედურების არსებობას და არა განხორციელებაზე დაფუძნებულ შედეგებს. პროგრამა რეგულირდება იმ ინსტიტუციური მექანიზმებით, რომლებიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციას, პროგრამის კომპონენტების გადახედვასა და პროგრამის შედეგების ანალიზს, პროგრამის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

ამ პროცედურების ეფექტიანობის პრაქტიკაში დემონსტრირება საჭირო იქნება მას შემდეგ, რაც პროგრამა ამოქმედდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ინსტრუმენტები და მათი განხორციელების შედეგები
- გარე შემფასებლების ანგარიშები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა		
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შეფასება
პროგრამა 1 - განათლების მეცნიერებების ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან